## ხელშეკრულება № 58

24 დეკემბერი 2018 წ.

თბილისი

ერთის მხრივ, აფხაზეთის ა.რ. იუსტიციის დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი თავმჯდომარის იგორ კოპალიანის სახით, და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. **" კოპიპრინტ - 2000"** (შემდგომში „მიმწოდებელი“), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს „(1) ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას ( შემდგომში - ხელშეკრულება ) შემდეგზე:

### §1 ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია CPV 22816300 წებოვანი ქაღალდი

დანართი#1 შესაბამისად

### §2 ხელშეკრულების ღირებულება

**მომსახურების** საერთო ღირებულება შეადგენს 63 (სამოცდასამი) ლარს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელების გათვალისწინებით.

### §3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან **10 სამუშაო** დღის განმავლობაში.

### §4 მიღება - ჩაბარების წესი

4.1.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **ბუღალტერი ხათუნა დეკანოიძე**

4.2. **მომსახურება** მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

### §5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. **მომსახურების** მიწოდების ადგილია : ქ. თბილისი, ვ. ფშაველას გამზირი 5.

5.2. **მომსახურების** მიწოდება განხორციელდება ათი კალენდარული დღის განმავლობაში.

### §6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული **მომსახურების** ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს **მომსახურების** ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს **მომსახურების** მიწოდება ჯეროვნად, კეთისინდისიერად და სრული მოცულობით, ასევე პასუხისმგებელია **მომსახურების** ხარისხზე და ვარგისიანობაზე.

### §7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ვალდებულების შესრულებისაგან.

შემსყიდველი ------------------------

მიმწოდებელი ------------------------

### §8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### §9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემ,თხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

### §10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### §11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 30 იანვრის** ჩათვლით.

12 მხარეთა რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| *შემსყიდველი:*<br>აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტი<br>ს.კ 249256923<br>მის: თბილისი, ჭავჭავაძის 17 -ა<br><u>საბანკო რეკვიზიტები:</u><br><u>ბანკი: სხელმწიფო ხაზინა</u><br>ა/ა : ხაზინის ერთიანი ანგარიში<br>ბანკის კოდი :TRESGE22 | მიმწოდებელი :<br>შპს „კოპიპრინტ- 2000“<br>მისამართი: თბილისი, ვ. ფშაველა ს 5<br>საიდენტიფიკაციო კოდი:205166210<br>ბანკის კოდი : TBCBGE22<br>ბანკის დასახელება :თ ბი სი ბანკი<br>ა/ა : GE10TB0600000360203670 |

შემსყიდველი-------------------------------------------- მიმწოდებელი - ------------------------------------------

**2018 წლის 24დეკემბრის №58 ხელშეკრულების დანართი 1**

| № | შესყიდვის ობიექტის დასახელება | რაოდ ენობა | ერთეულის ფასი | სავარაუდო ღირებულება | CPV კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | წებოვანი ქაღალდები(ლეიბლი 52*33მმ) | 1500 | 0.042 | 63 | 22816300 |
| | სულ | | | 63 | |

შემსყიდველი________________ მიმწოდებელი________________

ს.ს.ს. „კოპიპრინტი-2000" GEORGIA 205166210 "COPYPRINT-2000" Ltd.